გიორგი გაგნიძე

27.10.2020

მოგესალმებით,

გატყობინებთ ფორსმაჟორული სიტუაციის შესახებ. 4 თვეა, რაც პოლიტიკური პარტია შევქმენით და პარტიის რეგისტრაციის დღიდანვე მთავრობამ ჩვენზე სერიოზული ზეწოლა დაიწყო. ამის პირველი გამოხატულება იყო პარტიის რეგისტრაციიდან მე-3 დღეს (ივლისის დასაწყისში) ჩვენი დაბარება ფინანსური პოლიციის საგამოძიებო სტრუქტურაში - ქალაქ გორში. ამის შემდეგ, ჩვენი შეფერხება ხდებოდა სხვადასხვა გზებით. მიზეზი ის გახლავთ, რომ ჩვენ ვიცით თითქმის ყველა სამინისტროს ტენდერებში არსებული კორუფციული სისტემის დეტალები. ამჟამადაც, ჩვენი ორი კომპანია მთარგმნელობითი სერვისით ემსახურება თითქმის ყველა სამინისტროს საქართველოში, მათ შორის, რეგიონებში არსებულ ყველა სახელმწიფო უწყებას.

დაახლოებით, თვენახევრის წინ დაიწყო ჩვენი მთავარი კომპანიის გაშავების პროცესი სრულიად აბსუდული მიზეზით. ამის შესახებ ჩვენ განცხადებით მივმართეთ დიპლომატიურ კორპუსს, ბიზნესომბუდსმენს, სახალხო დამცველს და არასამთავრობო ორგანიზაციებს. პარალელურად, დავიწყეთ ბრძოლა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით და ფინანსთა სამინისტროს წარვუდგინეთ ყველა საჭირო დოკუმენტი, თუმცა მათ მაინც გასცეს შავი სიის წარმოების დაწყების ბრძანება.

აღნიშნული გავასაჩივრეთ დავების საბჭოში, თუმცა დღეს ისევ უარი მოგვივიდა და ძალაში დატოვეს ფინანსთა სამინისტროს ყოვლად აბსურდული გადაწყვეტილება, რითაც ფაქტობრივად, მთელი საქართველოს მასშტაბით ათასობით ადამიანს ტოვებენ ანაზღაურების გარეშე. ასევე, ავტომატურად მოხდება ყოფილი მონოპოლისტი კომპანიის დაბრუნება, რომლისთვისაც ისევ ხელოვნურად გაზრდიან ფასებს და ქვეყნის ბიუჯეტი ისევ დაკარგავს მილიონობით ლარს.

რომ შევაჯამოთ: ხდება ჩვენი ახლადშექმნილი პოლიტიკური ძალის გაჩუმების, შეჩერების და დაშინების მცდელობა, რითაც უნდათ რომ ჩამოგვაშორონ საარჩევნო კამპანიას.

გთხოვთ გვერდში დგომას და დახმარებას, რათა ერთად ვიბრძოლოთ და დავამარცხოთ აღნიშნული სისტემა, რომელიც ჩვეულებრივ, პატიოსან ხალხს არეკეტებს, აშინებს, ცდილობს დაგვაჯეროს, რომ ეს რეჟიმი კი არა - ნორმაა და ასეთ რეჟიმში უნდა ვიცხოვროთ. იმედი გვაქვს თქვენი სწრაფი რეაგირების და მხარდაჭერის.

პატივისცემით

პ.პ.გ „შეცვალე საქართველოს“ თავმჯდომარე

გიორგი გაგნიძე

შეცვალე საქართველო

რუსთაველის გამზ. 14. თბილისი 0108, საქართველო

+995 32 298 21 21 • 21@modefy.world

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „შეცვალე საქართველო“

WWW.MODEFY.WORLD